



№ 08-142

5 ივნისი, 2012 წ.

საქართველოს კონტროლის  
პალატის პოლიტიკური პარტიების  
ფინანსური მონიტორინგის  
სამსახურის უფროსს, ქალბატონ  
ნათია მოგელაძეს

ქალბატონო ნათია,

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგს ახორციელებს, რისთვისაც პოლიტიკური პარტიების და სხვა პოლიტიკური ძალების ქმედებებს აკვირდება.

მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო სააგენტომ „INFO 9“ ოთხ ივნისს გამოაქვეყნა რეპორტაჟი, რომელშიც მოთხრობილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის - დავით ბეჟუაშვილის მიერ მოსახლეობისთვის სადღესასწაულო სუფრით გამასპინძლების შესახებ.

როგორც ვიდეო რეპორტაჟის ერთ-ერთი რესპონდენტი ყვება, ასურეთობის დღესასწაულის წინა დღეს ჩამოიარეს „მოპატიჟებმა“ და უთხრეს, რომ დავით ბეჟუაშვილი ეპატიჟებოდათ სუფრაზე. სიუჟეტში ასევე ჩანს სადღესასწაულო სუფრის სამზადისი და თავად მაჟორიტარი დეპუტატი. გარდა ამისა, საინფორმაციო სააგენტო წერს, რომ მოსახლეობის ცნობით, დავით ბეჟუაშვილი „მსგავს სუფრებს სხვა სოფლებშიც ინტენსიურად შლის“.

საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ 25<sup>2</sup>-ე მუხლის თანახმად, აკრძალულია პარტიის მიერ ნებისმიერი პირის საშუალებით მოქალაქისთვის რაიმე უპირატესობის, მატერიალური თუ არამატერიალური ქონების გადაცემა, მის შესაძენად გამოყენებული თანხების წარმომავლობის მიუხედავად, გარდა კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარებისა. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საარჩევნო მიზნით ნებისმიერი „ქონების გადაცემა“ გარდა ზემოთ აღნიშნული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარებისა, სისხლის სამართლის დანაშაულია.

გამომდინარე იქიდან, რომ ბატონი დავით ბეჟუაშვილი არის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

წვერი, შესაძლებელია სახეზე იყოს როგორც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის დარღვევა, ასევე სისხლის სამართლის დანაშაული.

მოგმართავთ შუამდგომლობით, გაითვალისწინოთ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტი, შეისწავლოთ გარემოებები და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

გთხოვთ, მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედების შესახებ ინფორმაცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, ჩვენც მოგვაწოდოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ეკა გიგიაური  
აღმასრულებელი დირექტორი

